

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ
უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების
პროცედურის სახელმძღვანელო დოკუმენტი უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2023

დოკუმენტი მომზადებულია ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით



სარჩევი

შესავალი	2
თავი 1: სიტუაციური ანალიზი	2
თავი 2: საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარება... 4	
თავი 3: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა.....	7
დანართი 1:.....	10

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის განსასაზღვრად. დოკუმენტის პირველ თავში, მოცემულია სიტუაციური ანალიზი, საქართველოს კონტექსტში. შემდგომი თავები კი ეთმობა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარებასა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურას. აღნიშნული დოკუმენტი არის სარეკომენდაციო ხასიათის და ემსახურება უნივერსიტეტების ინფორმირებულობის ამაღლებას, აღიარების პროცესთან დაკავშირებით და სტანდარტული/საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას, განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თავი 1: სიტუაციური ანალიზი

საქართველომ, 1999 წელს, მოახდინა ლისაბონის კონვენციის (LRC) რატიფიცირება და აიღო ვალდებულება, კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნული კონვენციის IV.1 კარის თანახმად, ყოველი მხარე ცნობს სხვა მონაწილე მხარის მიერ გაცემულ კვალიფიკაციებს, მათი ზოგადი მოთხოვნების შესაბამისად და მის მფლობელს რთავს მისი უმაღლესი განათლების სისტემის სასწავლო პროგრამებში დაშვების ნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავებების დადასტურება, კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის დაშვების წესებსა და იმ ქვეყნების წესებს შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

V.1 კარის შესაბამისად, ყოველი მხარე ცნობს მეორე მხარის უმაღლესი განათლების პროგრამის ჩარჩოებში გავლილ სწავლების პერიოდს. ცნობა ეხება სწავლების იმ პერიოდებს, რომლებიც საჭიროა უმაღლესი განათლების პროგრამის დასასრულებლად, იმ მხარეში, სადაც ხდება ცნობის ძიება. იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავებების დადასტურება კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის სწავლების დასრულებულ პერიოდსა და იმ ქვეყნის უმაღლესი განათლების პროგრამის პერიოდს შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

VI.1 კარის თანახმად, ყოველი მხარე ცნობს მეორე მხარის მიერ მინიჭებულ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავებების დადასტურება კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის კვალიფიკაციასა და იმ ქვეყნის კვალიფიკაციას შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

VII თავის მიხედვით: „ყოველი მხარე თავის განათლების სისტემის ფარგლებში და კონსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგლამენტირებელი დებულებების შესაბამისად, გაატარებს ყველა შესაძლო და გონივრულ ღონისძიებას სამართლიანი და სწრაფი შეფასების პროცედურების დასამუშავებლად, იმისათვის, რომ დადგინდეს აკმაყოფილებენ თუ არა ლტოლვილები, ადგილნაცვალნი პირნი და ლტოლვილებთან გათანაბრებულები შესაბამის მოთხოვნებს, დაშვებულ იქნან უმაღლესი განათლების მისაღებად ან გასაგრძელებლად, ან დასასაქმებლად მაშინაც კი, როცა კვალიფიკაცია მიღებული ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე არ არის დასაბუთებული დოკუმენტურად“.

საქართველოში, 2008 წლამდე, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა, საკანონმდებლო დონეზე, არ იყო მოწესრიგებული, მას შემდგომ, რაც 2008 წელს, გამოიცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1163, საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობის (აღიარების) და საქართველოში

გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ეკვივალენტობისა და ავთენტიკურობის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ, ზემოაღნიშნული განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ფუნქციად.

2010 წელს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით, გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრად და დამტკიცდა მისი დებულება. მის ფუნქციად განისაზღვრა უცხოეთში მიღებული (მათ შორის ლტოლვილების მიერ) განათლების აღიარება. ამავე წელს, დამტკიცდა "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანება) რომელიც ადგენს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურას.


2008 დან 2019 წლამდე, აღნიშნულ წესში, მხოლოდ იმის შესახებ იყო ჩანაწერი, რომ ცენტრის ფუნქციაში შედის ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარება, მაგრამ რა გზით, ან რა ტიპის პროცედურით ახდენს ცენტრი ამას, დაზუსტებული არ იყო.

ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, 2019 წელს, დაზუსტდა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურა, რომელიც რეგულირდება №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" მე-5¹ მუხლით. პროცედურა მთლიანად შემუშავდა არსებული თეორიული ცოდნის საფუძველზე და მომართვიანობის არ ქონის მიზეზით, ჯერ არ განხორციელებულა პრაქტიკაში.

ზემოაღნიშნული წესის თანახმად, ცენტრი ახდენს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას და უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან თავსებადობის დადგენას.

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირს არ შეუძლია, ცენტრში, წარმოადგინოს, მის მიერ, უცხოეთში, განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თავი 2: საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარება



გრაფიკი 1

ზემოაღნიშნული პროცედურის თანახმად, ცენტრი ახდენს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ, უცხოეთში, მიღებული განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ, განათლების მიღების ფაქტის დადგენას და უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან თავსებადობის დადგენას.

ცენტრში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);
4. საერთაშორისო დაცვის სტატუსის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
5. საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების დამადასტურებელი მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი და/ან განმცხადებლის მიერ მიეთითოს ამ დოკუმენტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
6. შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის – 70 ლარი.

ამასთან, ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროცედურით გათვალისწინებული გამოცდის შეფასებას, უფლებამოსილია, დამატებით განსაზღვროს საფასური, შესაფასებელი კვალიფიკაციის/სწავლის შედეგების თავისებურებების გათვალისწინებით. ვინაიდან, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირები წარმოდგენენ მოწყვლად ჯგუფს, მიზანშეწონილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, არ იქნას განსაზღვრული დამატებითი საფასური, პროცედურის განხორციელებისათვის.

ცენტრი, განცხადების მიღების შემდეგ, იწყებს ინფორმაციის მოძიებას, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ, უცხოეთში, განათლების მიღების ფაქტის დასადაგენად, რისთვისაც იგი უფლებამოსილია, ჩაატაროს ზეპირი მოსმენა, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის ჩართულობით და/ან მიმართოს უცხო ქვეყნის კომპეტენტურ/შესაბამის ორგანოებს, რომლებიც აღიარებენ საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებულ განათლებას.

განათლების აღიარების პროცედურა ტარდება განმცხადებლის მიერ, მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობით, რომელიც, პროცედურის ფარგლებში, უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია, დადგინდეს, ფლობს თუ არა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირი, მის მიერ, განაცხადში, მითითებული კვალიფიკაციის შესაბამის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს გამოცდის ფორმატი. მიზანშეწონილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნდეს აღიარების შიდა წესი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პროცედურა, პროცედურის განხორციელების ვადები, ჩართული მხარეები და მათი უფლება-მოვალეობები.

გამოცდა ტარდება ქართულ, ან რომელიმე უცხო ენაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და განმცხადებლის შეთანხმების შესაბამისად. მიზანშეწონილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, წინასწარ, ჰქონდეს იდენტიფიცირებული, თუ რომელი სპეციალობების და მიმართულების პროგრამებზე, რომელ ენებზე შეუძლია გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფა.

გამოცდის ჩატარების წესი და საგამოცდო თემატიკა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, განისაზღვრება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც განმცხადებელს უნდა ეცნობოს, გამოცდის ჩატარებამდე, 10(ათი) სამუშაო დღით ადრე.

გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, ცენტრი იღებს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს:

- ა) საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ.
 - კვალიფიკაციის სრულად აღიარების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია, დასაქმდეს კვალიფიკაციის შესაბამისად, ან განაგრძოს განათლების მიღება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე;
- ბ) საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ.
 - განათლების ნაწილობრივ აღიარების შემთხვევაში, პირი, უფლებამოსილია, განაგრძოს განათლების მიღება, უმაღლესი განათლების იმავე საფეხურზე, რომლის ფარგლებშიც მოხდა განათლების აღიარება;
- გ) საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
 - განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირი, უფლებამოსილია, გადაწყვეტილება გასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

გასათავალისწინებელია, რომ:

გადაწყვეტილებაში, მიეთითება, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ასევე, ნაწილობრივ აღიარების შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ განათლების რა ნაწილია აღიარებული.

გადაწყვეტილებასთან ერთად, ცენტრი ადგენს საინფორმაციო ბარათს, სადაც მიეთითება:

- ა) ბარათის შედგენის თარიღი;
- ბ) საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მაიდენტიფიცირებელი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი და სხვა);
- გ) მონაცემები შესაფასებელი კვალიფიკაციის შესახებ;
- დ) განმცხადებლის მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია (უცხო ენების ფლობის, სამუშაო გამოცდილების შესახებ და სხვა.);
- ე) ინფორმაცია გამოცდის ჩატარებელი/შემფასებელი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ და შეფასების შედეგები.

საინფორმაციო ბარათი დგება ქართულ და ინგლისურ ენებზე და გადაეცემა განმცხადებელს განათლების აღიარების/ნაწილობრივი აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტთან ერთად.

პროცედურასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე. იხილეთ QR კოდი:



თავი 3: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს საერთაშორისო დაცვის სტატუსს, მაგრამ მას შეუძლია, დოკუმენტურად დაადასტუროს, მის მიერ, უცხოეთში, განათლების მიღების ფაქტი (გააჩნია საგანმანათლებლო დოკუმენტები), მასზე ვრცელდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სტანდარტული პროცედურა.


უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას ექვემდებარება:

- ზოგადი განათლება
- პროფესიული განათლება
- უმაღლესი განათლება

საგანმანათლებლო დოკუმენტებია:

- საშუალო (სრული) ზოგადი განათლების ატესტატი და მისი დანართი
- საბაზო განათლების ატესტატი და მისი დანართი
- სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (შეფასებათა უწყისი)
- პროფესიული დიპლომი და მისი დანართი, შეფასებათა უწყისი
- უმაღლესი განათლების დიპლომი და მისი დანართი, შეფასებათა უწყისი
- მინიჭებული აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება:



გრაფიკი 2

აღნიშნული პროცედურის განხორციელებისთვის, ცენტრში წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:

1. განცხადება (განცხადების ფორმა);
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
3. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);
4. მშობლის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
5. საგანმანათლებლო დოკუმენტი* ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
 - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის - 40 ლარი ჩვეულებრივი წარმოება (ერთი თვე);
 - დაჩქარებული წარმოება 15 სამუშაო დღე - 80 ლარი;
 - 5 სამუშაო დღე - 120 ლარი;
 - 1 სამუშაო დღე 250 ლარი;
7. სწავლის პერიოდში (სკოლის კლასები/ კრედიტები) მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში, აგრეთვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების დასკვნა უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების შესაბამისობის შესახებ.
8. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველებს, აგრეთვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების თანხმობა ვაკანტუზრი ადგილის თაობაზე.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს, ცენტრი ადგენს:

- ✓ გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში, და არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას (ნამდვილობის დადასტურება)
- ✓ უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან (შესაბამისობის დადგენა)

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, ცენტრი უკავშირდება შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას. შესაბამისობის დადგენისას, ცენტრი ადგენს უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის, სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობას, საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან.

საკითხის გადაწყვეტისათვის, ცენტრი, უფლებამოსილია, მოითხოვოს დამატებითი, მათ შორის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნებისთვის, პირის საზღვარგარეთ ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრი:

- ა) აღიარებს უცხოეთში მიღებულ განათლებას - აღიარების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია დასაქმდეს კვალიფიკაციის შესაბამისად, ან განაგრძოს განათლების მიღება
- ბ) უარს ამბობს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე - უარის თქმის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გაასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

პროცედურასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე. იხილეთ QR კოდი:



დანართი 1:

საინფორმაციო ბარათი

ბარათის შედგენის თარიღი და ადგილი:

ბარათის მფლობელის პერსონალური ინფორმაცია:

სახელი:

გვარი:

მამის სახელი:


დედის სახელი:

დაბადების თარიღი:

დაბადების ადგილი:

მოქალაქეობა:

სქესი:



ინფორმაცია უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის შესახებ:

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება რომელშიც ხდებოდა განათლების მიღება:

ქვეყანა სადაც მდებარეობდა საგანმანათლებლო დაწესებულება:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მინიჭებული კვალიფიკაციის დასახელება:

განათლების მიღების წლები:

გამოცდის ჩამტარებელი/შემფასებელი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:

შეფასების შედეგი:

დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტის შესახებ:

ენების ფლობა:

სამუშაო გამოცდილება:

სხვა:

ხელმოწერა:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2
ტელეფონი/ფაქსი: +995 322 200 220 (*3599) საფოსტო ინდექსი: 0193
ელ. ფოსტა: info@eqe.ge

